PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ-კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:

ნაზო წიბლიაშვილი

წევრები:

ვანო ოთხოზორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

■ ავტორიზაციის პირობებების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	98	69	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მარტის N258013 ბრძანება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი ვანო ოთხოზორია-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ-კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებების უფლება მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის N140 გადაწყვეტილებით და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 98, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სურს მისთვის გამოყოფილი ზღვრული რაოდენობიდან 5 ადგილი გამოყოს პროგრამის დუალური განხორციელებისათვის, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „ქლაუდ ცხრასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, მოდულური და დუალური მიდგომით განსახორციელებელი ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის), ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, ასევე დუალური მიდგომით გახორციელებისათვის პროგრამის კრედიტების განაწილების ცხრილი.

2021 წ. 29 მარტს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. მონიტორინგის განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამების მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკის და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ჩართვის დროს განხილული იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ვინაიდან პროგრამის განმახორციელებლების დოკუმენტები არ იყო წარმოდგენილი, ექსპერტები დაინტერესდნენ იყო თუ არა განხორციელებული ცვლილება განმახორციელებლებს შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ცვლილება არ განხორციელებულა. დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდაციები არ გაცემულა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია ბრძ.N183; 13.06.18წ. ცვლილების ბრძ. N31; 12.03.21წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი; ფანჯიკიძის 3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	98 (93 მოდულური 5 დუალური)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		სრული
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულების მისიაა: ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით/გადამზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/ გამოყენების ხელშეწყობა.

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში N1 მიზნად გაწერილია პროგრამების შემუშავება და განვითარება, სტრატეგიულ ამოცანად გაწერილია პროგრამების გადახედვა/განვითარება, რომლის აქტივობად გაწერილია პროგრამის პაკეტში ცვლილებების საჭიროების კვლევა და ცვლილებების შეტანა/ინიცირება.

დაწესებულება 2018 წლიდან ახორციელებს „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის განხორციელებისას წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან „პრაქტიკული პროექტი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოდულის ფარგლებში, დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში და პროფესიული სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში აღწევენ პროგრამის მიზნებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შრომის ბაზარზე მუდმივად იზრდება მოთხოვნა კადრებზე აღნიშნული მიმართულებით.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯს გაცნობიერებული აქვს დუალური პროგრამის უპირატესობები, კოლეჯს მიზანშეწონილად მიაჩნია კომპიუტერული ქსელის და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულური ფორმით განხორციელებასთან ერთად, მოხდეს მისი დუალური ფორმით განხორციელებაც შპს „ქლაუდ ცხრა”-სთან თანამშრომლობით, რომელიც კოლეჯის დიდი ხნის პარტნიორია - პროფესიული სტუდენტები წარმატებით გადიან საწარმოო პრაქტიკას და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილიც დასაქმებულია.

<u>დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ თავი 3, სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება“ რომლის მე-2 მუხლის (კონკურსის ჩატარების ფორმატი და პირობები) თანახმად, კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, განხორციელდება აპლიკანტთა ჩარიცხვა დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. კონკურსის ფორმატია - <u>**გასაუბრება ან ტესტირება.**</u> ამავე დებულების მე-4 მუხლის (საკონკურსო კომისია) მე-4 პუნქტით გაწერილი, რომ თუ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსურველ აპლიკანტთა რაოდენობა გადააჭარბებს 20 (ოცი) აპლიკანტს, აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება ტესტირების მეთოდით.

საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება კონკურსის ჩატარების თარიღი, კონკურსისთვის აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმა. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული <u>**საბაზო განათლების**</u> დამადასტურებელი დოკუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებამ არგუმენტირებული წერილით წარმოადგინა „სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულება“, რომელშიც შეტანილია ცვლილება და აღნიშნულში ჩამატებულია **ზოგადი განათლებაც.** ექსპერტებმა მივიჩნიეთ რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას რეკომენდაციის გაცემა აღარ იყო მიზანშეწონილი.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გაწერილი აქვს სტუდენტების ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად კოლეჯმა დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრა პროგრამაზე შესაბამის აუდიტორიებში სამუშაო ადგილების რაოდენობის, განმახორციელებელი ადამიანური რესურსის და შპს „ქლაუდ ცხრას“ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამტარუნარიანობით. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე შპს „ქლაუდ ცხრა“ ვალდებულებას იღებს „პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის 2 თანამშრომელი/ინსტრუქტორი /მენტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას, კომპანიის პროცესში მონაწილეობასა და შეფასებას, ზედამხედველობის/ინსტრუქტაჟის გაწევას, ყოველდღიური/ყოველკვირეული დავალების მიცემას და პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების აღრიცხვას კომპანიაში; კოლეჯის მიერ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“-ს განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, უზრუნველყოს არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების ფარგლებში, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის უზრუნველყოს პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხელი შეუწყოს კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურას და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას; სწავლების დაწყებამდე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს შრომის დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ნორმები, უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპანიაში შესაბამისი ქცევის წესების, პირობების და შეზღუდვების პროფესიულ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილზე განთავსება; კომპანიაში პრაქტიკის დაწყებისთანავე სტუდენტს გაუფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც დარეგულირდება სტუდენტსა და კომპანიას შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები და ანაზღაურების განაკვეთი;

<u>დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსთთან, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიურებისას კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს შესაბამისი აღჭურვილობის ფლობა და პროფესიული სტუდენტებისადმი სრულფასოვანი წვდომის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პარტნიორ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, დეტალურად გაიარეს კომპანიაში გატანილი სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ნუსხა და პარტნიორი დაწესებულების სრული მზაობა აისახა შემდგომ გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

დარგის ექსპერტის შეფასებით, ინტერვიურებით დგინდება, რომ პარტნიორ ორგანიზაციას გააზრებული აქვს პსდ-სთან შეთანხმებით მის ბაზაზე მისაღწევი სწავლის შედეგების განხორციელების მიდგომები, კომპანიის განკარგულებაშია და სწავლების პროცესში პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაბამის მატერიალურ აღჭურვილობასთან და წვდომა.

კოლეჯი წარმოადგენს Cisco_ს ავტორიზებულ ქსელურ აკადემიას, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები, ქსელური აკადემიის ინსტრუქტორებს. პროფესიული სტუდენტებს აქვთ ავტორიზებული წვდომა შესაბამის ვებ-პლატფორმასთან (netacad.com) და მასზე განთავსებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც პერიოდულად ახლდება დარგში ობიექტურად წარმოჩენილი სიახლეებისა და აქტუალური მიდგომების კვალდაკვალ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
<u>პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროგრამას არა აქვს არჩევითი მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 183 ბრძანებაში -„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2021 წლის 12 მარტის N 31 ბრძანებით შეტანილია ცვლილებები და დამტკიცებულია - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით შემუშავებული დანართები.

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი, რომელიც პროგრამას ამტკიცებს დირექტორის მოადგილის (სასწავლო მიმართულებით) წარდგინებით.

<u>საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ.</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთ მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში“, პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 4-ით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავება და მასში ცვლილებების შეტანა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „პროგრამის, მათ შორის დუალური და ინტეგრირებული განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლებელია განპირობებული იყოს ა) დასაქმების ბაზრის შესწავლის შედეგებით; ბ) პარტნიორი კომპანიების მოთხოვნით; გ) საზოგადოების მაღალი ინტერესით; დ) IT მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს. პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირების უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით, სამსახურებრივი ფოსტით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელს პირს. დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს: პროგრამის შემუშავებაში, განხორცილებაში ან შეფასებაში ჩართული პირი. ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა განიხილება პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობით, რომელიც საჭიროებისამებრ, წარიმართება სამსახურებრივი ფოსტის გამოყენებით. პროგრამაში ცვლილების შეტანა ფორმდება დირექტორის ბრძანებით. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, ინფორმაციის გავრცელებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მოდულები. პროგრამის მოცულობა (იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია - 90 კრედიტი, იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია -120 კრედიტი), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია მოდულური მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენენტებისთვის), ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. ასევე დუალური მიდგომით განსახორციელებელი ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენენტებისთვის), პროგრამის კრედიტების განაწილების ცხრილი, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო გეგმაში დაცულია წინაპირობები და განმეორებითი შეფასების ვადები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით არ აღემატება 40 საათს.

კრედიტების განაწილების ცხრილის თანახმად შპს „ქლაუდ ცხრას“ ბაზაზე გატანილია ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულების პრაქტიკული კომპონენტები:

1. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა (მე-3 და მე-4 სწავლის შედეგი)-50 სთ-2კრედიტი;
2. კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები (მე-6 სწავლის შედეგი) -55 სთ-2.2 კრედიტი;
3. კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა (მე-3-მე-6 სწავლის შედეგები) -126 სთ- 5 კრედიტი;
4. მობილური, Linux და OS X ოპერატიული სისტემები (მე-3 სწავლის შედეგი)-38 სთ-1,52 კრედიტი;
5.გაცნობითი პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელი და სისტემები (სრულად)-25 სტთ-1 კრედიტი;
6. პრაქტიკული პროექტი-კომპიუტერული ქსელი და სისტემები (სრულად)-150 სთ-6 კრედიტი;
7. Windows სერვერულ ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა (მე-4 დაა მე-5 სწავლის შედეგი) 24 სთ -1კრედიტი;
8. Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისების ბაზისური გამართვა (პირველიდან მე-4 სწავლის შედეგის ჩათვლით)-86 სთ-3.44 კრედიტი;
9. Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა (სრულად) 125 სთ-5 კრედიტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

10. Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ბაზისური გამართვა (სრულად)- 150 სთ-6 კრედიტი;

11. ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა (სრულად) – 75 სთ-3 კრედიტი;

12. ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში (სრულად)- 125 სთ-5 კრედიტი.

სულ პროფესიული მოდულების 80 კრედიტიდან ბაზაზე გატანილია 1029 სთ-რაც შეადგენს 41.16 კრედიტს და აღემატება 50%-ს;

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ- კოლეჯ "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- „სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და აპლიკანტთა ჩარიცხვის წესით შერჩევის დებულებით"
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი. დირექტორის ბრძ. N31; 12.03.2021 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით, სასწავლო გეგმთ და პროგრამის კრედიტების განაწილების ცხრილით;
- N1 ხელშეკრულებით (სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"-ს და შპს „ქლაუდ ცხრა"-ს შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები"-ს განხორციელების შესახებ, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა).
- დაწესებულების მისიით;
- სამოქმედო ერთწლიანი გეგმით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პროფესიული სტანდარტით;
- გასაუბრების შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციური ჩართვისას განხორციელდა დაწესებულების სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება. დაწესებულება სრულად ფლობს სწავლის მიღწევისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობას. აღსანიშნავია სასწავლო დაწესებულების სტრატეგია რესურსების მუდმივი განახლების მიმართულებით. საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად განკუთვნილ გარემოში დამონტაჟებულია ახალი თაობის კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებისა და სისტემური სერვისების გამართვის აპარატურული საშუალებები, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტური სწავლების წინაპირობაა და ეხმაურება IT სფეროს დინამიური განვითარების ტენდენციებს.
კოლეჯის გარეთ გატანილი სწავლების შედეგების შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობის პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებობა, დადასტურდა კომპანიის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი მოდულის განმახორციელებელია და 10 პროფესიული მოდულის, მათ შორის შპს „ქლაუდ ცხრის“ ორი წარმომადგენელი.
პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გარდა სალექციო დროისა მოიაზრებს მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, კონსულტაციის ჩატარებას, პროფესიული სტუდენტების შეფასებას, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობას.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია
დაწესებულება 2018 წლიდან ახორციელებს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური მიდგომით, ექსპერტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაინტერესდნენ იყო თუ არა განხორციელებული ცვლილება განმახორციელებლებს შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ცვლილება არ განხორციელებულა. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით,

პარტნიორი კომპანიის მხრიდან სასწავლო პროცესში ჩართული ინსტრუქტორები წარმოადგენენ, კომპანიაში მაღალ პოზიციებზე (უფროსი სისტემური ადმინისტრატორი; ოპერაციების დირექტორი) დასაქმებულ პიროვნებებს, ერთ-ერთ მათგანთან განხორციელდა გასაუბრება, საიდანაც ირკვევა რომ ის კარგად იცნობს მოდულის სტრუქტურას, მისაღწევ სწავლის შედეგებს და გააზრებული აქვს პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, თუ როგორი მიდგომებით განახორციელებს სასწავლო/სამუშაო პროცესის ორგანიზებას. ყოველივე ამაში მათ დაეხმარათ, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებთან შემდგარი საინფორმაციო შეხვედრები. საკუთრივ სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, დაგვიდასტურეს ასეთი შეხვედრების კვლავაც ჩატარების მზაობა, განსაკუთრებით შეფასების მიმართულებებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება/ორგანიზების კუთხით.

ერთის მხრივ კომპანიის ინსტრუქტორების სამუშაო გამოცდილება და მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და მეორეს მხრივ სასწავლო დაწესებულების პასუხისმგებელი პირების მიერ, მათი მოდულით განსაზღვრული საკითხების საფუძვლიანი კონსულტირების პროცესით მხარდაჭერა, იძლევა მყარ საფუძველს ვამტკიცოთ, რომ კომპანიის ბაზაზე პრაქტიკული სწავლის შედეგების განმახორციელებლებს აქვთ მისაღწევი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტები მივიჩნევთ, რომ **პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 25-ით, რომლის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, განსაზღვრავს მატერიალური რესურსს, ადგენს სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტრუქტურას. ასევე მისი ფუნციებია: შესაბამისი პროგრამის განახლებაში მონაწილეობა - საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ცვლილების ინიცირება და გავრცელება; პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებაში ჩართულობა; ავტორიზაციის/პროგრამის დამატების მიზნებისათვის საჭირო აქტივობებში მონაწილეობა; პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებლებისთვის საჭირო მასალა/ნედლეულის მოთხოვნისა და განაწილების კოორდინირება; მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შედგენაში, კონსულტაციის გაწევა; მიმართვის შემთხვევაში, მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორისთვის განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასებისთვის პრაქტიკული დავალებების გაზიარება ან/და მომზადებაში რჩევების მიცემა; პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროფესიული განათლების მხარდაჭერა/ ორგანიზების პროცესში სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის გახლავთ პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავებისა და შემდგომში მოდიფიცირების პროცესის ერთ-ერთი თანაავტორი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი, Cisco-ს ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მას და კოლეჯის სხვა პასუხისმგებელ პირებს კარგად აქვთ გათავისებული პროგრამის განხორციელების დუალური მიდგომები და პარტნიორ კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირების უწყვეტობა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო **პროგრამას ნამდვილად ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ჩართვის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, უზრუნველყოფილია სამკითხველო დარბაზით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, კომბაინით (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი). პსდ-ს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი, სადაც საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ხელმისაწვდომია მოდულების შესაბამისი ელ. რესურსები. ამავდროულად აღსანიშნავია რომ პსდ-ს აქვს შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზოს ავტორიზებული წვდომის შესაძლებლობა netacad.com პლატფორმასთან, რომელშიც თავმოყრილია ძირითადი დარგობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მოდულების შესაბამისი თემატიკის სასწავლო (თეორიული, პრაქტიკული და ლაბორატორიული აქტივობები) და შეფასებითი სქემის რესურსები.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები "არ ჰყავს სსსმ პროფესიული სტუდენტი, თუმცა **დაწესებულებას აქვს სრული მზაობა აღნიშნულ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ისგ გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისაა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თავი VII გაწერილია "ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა" სადაც დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე სსსმ აპლიკანტების რეგისტრაცია და ჩარიცხვა, სსსმ სტუდენტების კოლეჯში ინტეგრაცია და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა. სსსმ და შშმ სტუდენტების ინტეგრაციისა და სწავლების პროცესში ჩართულია, როგორც მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში ჟესტური ენის თარჯიმანი, სსსმ სტუდენტის ასისტენტი ან/და სხვა. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს შშმ სტუდენტების ტრანსპორტირებას. სსსმ სტუდენტებზე დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით, თითოეულ მოდულზე განსაზღვრავს მოდულის ისგ-ის საჭიროებას პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუმეტეს ორი კვირისა.

დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირებისთვის, დაწესებულებაში დამონტაჟებულია ლიფტი სხვადასხვა სერვისებთან წვდომისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ აფინანსებს სახელმწიფო. დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ- კოლეჯ “ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით, სასწავლო გეგმით;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

21.04.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: